ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

თორნიკე ღურჭუმელია

სპორტისა და სპორტსმენების აფილაცია პოლიტიკასთან პოლარიზებულ მედიაგარემოში

ნაშრომი შესრულებლია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მედიანიმუშების თვისებრივ კონტენტანალიზზე დაყრდნობით საკვალიფიკაციო ნაშრომი შეისწავლის და იკვლევს იმ მეტყველებითი ერთეულების მიმართებებს, რომლებიც გამოხატავენ სპორტისა და სპორტსმენების აფილაციის ბუნებასა და ინტენსივობას პოლიტიკური კონტექსტიდან გამონდინარე. ლიტერატურის მიმოხილვა ორი ქვემიმართულებისგან შედგება: 1. სპორტი, მედია და პოლიტიკა - ფუნქციონირების დისკურსული/მეტყველებითი პრაქტიკები და 2. დისკურსული ანალიზის წანამძღვრები როგორც საფუძველი თეორიული მიდგომებისთვის. თვისებრივი კონტენტანალიზის შინაარსობრივ კატეგორიებად გამოყოფილია პოლიტიკური დუსკურსისთვის დამახასიათებელი მითების სახეობები - მითი-კოშმარები, მითი-იდილიები და დომინანტური პოლიტიკური მითოლოგემები. ამ შემთხვევაში აქცენტი დაისმის მითოლოგემაზე - მითის მატარებელ მეტყველებით ერთეულებზე.

სარჩევი

შესავალი 4

ლიტერატურის მიმოხილვა 7

სპორტი, მედია, პოლიტიკა 7

თეორიული არგუმენტები 12

კვლევის დიზაინი 14

მეთოდის აღწერა და ემპირიული მონაცემები 14

კვლევის შედეგები. განხილვა 14

მითი, როგორც დისკურსის ელემენტი 14

მითი-კოშმარები 14

მითი-იდილიები 19

დომინანტური დისკურსის მითები 21

დასკვნა 24

შესავალი

პოლარიზებული მედიაგარემო აღნიშნავს ისეთ ვითარებას, როცა მთლიანად მედიასისტემა, - იქნება ეს ბეჭდური გამოცემები, რადიო, ტელევიზია თუ ინტერნეტი, როგორც ერთობლიობა - მკვეთრად იყოფიან და იმიჯნებიან პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ სოციალურ-კულტურული უთანხმოებებიდან გამომდინარე. ამგვარ გარემოში საინფორმაციო რესურსები განსხვავებულ პოზიციებს, პრეფერენციებსა და განწყობებს გამოხატავენ და საკუთარი პოზიციის გამოხატვასთან ერთად, როგორც წესი, უგულებელყოფენ ალტერნატიულ მოსაზრებებს ან უარყოფენ მათ. პოლარიზებული მედიაგარემო არის იმ ორი პოლუსის, ორი ურთიერთდაპირისპირებული ძალის შექმნილი გარემო, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებიან ერთმანეთს ექსკლუზიური გავლენის მოპოვების მიზნით. ამ პროცესში, საკუთარი ინტერესებისა და იდეების წარმოჩენისას, ეს ძალები არ ერიდებიან დეზინფორმაციას, ინფორმაციით მანიპულაციას, რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ან მომავალში გააღრმავებს სოციალურ დაპირისპირებას.

პოლარიზებული მედიაგარემოსთვის დამახასიათებელია ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი სტიმულის გამოყენება, იქნება ეს პიროვნება, მოვლენა, თარიღი თუ თუ სხვა რამ, რასაც შეუძლია მნიშვნელობითი ველის შექმნა.

წინამდებარე ნაშრომში ისეთ სტიმულებად, რომლებსაც პოლიტიკური და მედიააქტორები აფილაციისთვის ან დეზინტეგრაციისთვის იყენებენ, რეპრეზენტირებულნი არიან ის გამოჩენილი ქაართველი სპორტსმენები, რომელთა გამარჯვება გასცდა სპორტული გამარჯვების ფარგლებს და ასოციაციურად დაუკავშირდა პოლიტიკას და პოლიტიკურ მოთამაშეებს.

სწორედ იმის გამო, რომ სპორტს მსოფლიოში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, მედიისთვის ეს სფერო, უკვე დიდი ხანია, რაც ინტერესის შემცველია და მასთან სინთეზირებულად არსებობს, უფრო მეტიც, – თანამედროვე სამყაროში სპორტი მედიის გარეშე აღარც კი ფუნქციონირებს. შესაბამისად, ჩნდება რეალობა, რომელშიც ერთმანეთს

ორი განსხვავებული ცნება, სპორტი და მედიისთვის უკვე მკაფიოდ ათვისებული ნიშანი, კერძოდ პროპაგანდა უკავშირდება, რომელთა საერთო სახესა და ძალას ადამიანებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია.

პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება მის ქვედარგზე, თანამედროვე მედიის აფილაციის, ანუ ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის, ადამიანის ან მასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჩარჩოს მისაკუთრების, მითვისების უნარზე, რაც რეალობის დამახინჯებას ზუსტად ისევე იწვევს, როგორც ეს პროპაგანდის სტანდარტულ დეფინიციაშია აღქმული. თავის მხრივ, თანამედროვე მედიის ეს თვისება ნაშრომში სპორტთან ერთად სინთეზურად იქნება წარმოდგენილი, რომლის მთავარი მიზანიც იმის დადგენაა, თუ რამდენად არის მისაკუთრებული ესა თუ ის სპორტული მოვლენა ან პერსონა ქართულ მედიასივრცეში და არის თუ არა სპორტი სამანიპულაციო ინსტრუმენტად ქცეული იმისათვის, რათა საზოგადოების აზრი პროპაგანდისტის ნების შესაბამისად ჩამოყალიბდეს.

საკვლევი ჰიპულაცია: მეინსტრიმულ და სოციალურ მედიაში პოლიტიკური თუ მედიააქტორების მიერ გამოთქმული მითები იმ ქართველი სპორტსმენების შესახებ, რომლებიც საკვლევ პერიოდში თავიანთი სპორტული მიღწევებით გამოირჩეოდნენ, თუმცა დისკურსულად ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის ფავორიტებად აღიქმებოდნენ. აქედან გამომდინარე, მათ მიმართ პოლარულად დაპირისპირებული შეფასებები არსებობდა. მთლიანობაში 22 ერთეული.

საკვლევი პერიოდი: 2020 წლის 5 თებერვლიდან 2023 წლის 19 აპრილამდე.

კვლევის მეთოდი: საკვლევი მიდგომა - სემიოტიკურ-სტრუქტურალისტური (მითების კვლევა), ხოლო საკვლევი ტექნიკა: თვისებრივი კონტენტანალიზი, დაფუძნებული ფრონტალური მონიტორინგის შედეგებზე.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია ლიტერატურის, აკადემიური წყაროების თემატური მიმოხილვა, რომელიც შეეხება სპორტისა და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების, სპორტისა და აზროვნების ურთიერთქმედებას.

მეორე თავში განხილულია მეთოდოლოგიურად რელევენატური მიდგომა, სემიოტიკური ანალიზი, რომელშიც აქცენტირებულია მითების კონოტაციური სტრუქტურის მნიშვნელობა დისკურსის ჩამოსაყალიბებლად.

მესამე თავში ეხება მეთოდის აღწერას და მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებულ შედეგებსა და მათ განხილვას.

ნაშრომი სრულდება დასკვნით.

ლიტერატურის მიმოხილვა

სპორტი, მედია, პოლიტიკა

სპორტი და მისი გავლენა მასების აზროვნების, კულტურისა და გადაწყვეტილებათა მექანიზმის გასაკონტროლებლად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, თანაც ისე, რომ ამის შესახებ საზოგადოებას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა (Durbin & Descamps, 2017).

დიდი ხანია, რაც სპორტი უბრალოდ გასართობი მოვლენის ან სანახაობის ფუნქციითა და მნიშვნელობით აღარ აღიქმება. ეს არის როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად სრულყოფილი ათლეტების დაპირისპირება, რომლებიც მაყურებლებისთვის გარკვეულ დაჯგუფებებს აყალიბებენ, სადაც ადამიანები თავიანთი სოციალური და კულტურული ყოფის მიხედვით ერთიანდებიან.

უძველეს ცივილიზაციებში - შუმერების, ბერძნებისა და რომაელებისა, - სპორტს არაერთგვაროვანი დანიშნულება ჰქონდა. მაგალითად, პირველი მათგანისთვის სპორტის არსი ომისთვის მზადებაში გამოიხატებოდა, ხოლო დანარჩენებისთვის სპორტს როგორც სოციალური, ისე რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, ბერძნები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და სპორტულ შეჯიბრებებს ბრწყინვალების დემონსტრირებისა და კულტივაციისთვის იყენებდნენ (Devine & Frias, 2020). „ადილობრივი მრავალფეროვნებისგან გამოწვეული კონფლიქტების შემცირებასა და სოციალურ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა მაიას ცივილიზაციაში მრავალგვარი ბურთის თამაში, ის საერთო კავშირის დამყარებას უზრუნველყოფდა“ (Philosophy of Sport, 2020). სხვა დანარჩენთან ერთად, ამავე ნაშრომში ხაზგასმულია სპორტის პოტენციალი, შეამციროს ანტისოციალური ქცევები, მათი გამოვლინებები და შეასრულოს საჯარო პოლიტიკის გამტარის ფუნქცია.

სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ სპორტს მასების ღირებულებათა კომპლექსზე დიდი გავლენა აქვს, მას ერთმნიშვნელოვნად ებმის პოლიტიკა მთელი თავისი არსით, რომლის ერთ-ერთი უშუალო მიზანიც საზოგადოების ნდობის მოპოვება, შემდეგ კი მისი სისტემურად და სტრუქტურულად გამოყენებაა: „ჯერ კიდევ უძველესი დროის

რიტორიკოსები, ისოკრატე და ლისია იყენებდნენ სპორტულ პლატფორმას იმისათვის, რათა საზოგადოებისთვის მძლავრი პოლიტიკური გზავნილები გადაეცათ“ (Durbin & Descamps, 2017). ამავე თვალსაზრისით, თანამედროვე სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან არ განცალკევებულა, პირიქით, ისინი მეტად გაერთიანდნენ და 21-ე საუკუნის გამოწვევათა ათვისება/დაძლევა ერთობლივად დაიწყეს. მაგალითად, სოციალურ ქსელს უკანასკნელი მონაცემებით 5 მილიარდამდე ადამიანი იყენებს (*Smart Insights, Global social mediastatistics research summary*, 2023), რომელთან ინტეგრირებაც უკვე არაერთმა სპორტულმა კლუბმა თუ ორგანიზაციამ შეძლო, მათი მთავარი მიზანი კი მსოფლიოს მასშტაბით არსებული მხარდამჭერების მოზიდვა და საკუთარი თავის როგორც ღირებულების, ისე რეპუტაციის გაზრდაა. თავის მხრივ, სპორტის გულშემატკივართა (რომლებიც სპორტული მოვლენის ამსახველ დეტალებს სოციალურ ქსელში ეცნობიან) სათავისოდ გამოყენებას პოლიტიკის სფერო და მისი მესვეურები ცდილობენ, რომლებიც თავიანთ სათქმელს საზოგადოებას სპორტში ჩართული ადამიანების დახმარებით აცნობენ: „ოლიმპიადა არის კარგი მაგალითი – დაწყებული ჰიტლერის გერმანიით და დამთავრებული პუტინის რუსეთით – იმისა, რომ ის პროპაგანდის მძლავრი ინსტრუმენტია“ (Durbin & Descamps, 2017). გარდა ამისა, ამავე ავტორთა ნაშრომიდან (The Politics of Discourse on the Fields of Dreams: Political Messaging and the Mediated Representation of Sports) მნიშვნელოვანია დიდი სპორტული ღონისძიებების გახსნის ცერემონიათა გახსენებაც, სადაც თითქმის ყოველთვის ვხვდებით ისეთ პოლიტიკურ განცხადებებს, რომელთა მიზანიც გარკვეული ღირებულებათა სისტემისა და კულტურული სურათის ჩამოყალიბებაა. თავის მხრივ, საზოგადოების ფორმირების პროცესში კუთვნილ როლს სპორტული მედია თამაშობს, რომლის სპორტული ღონისძიების ტრანსლაცია მხოლოდ ერთი შინაარსის შემცველი არაა, პირიქით, რომელიმე მატჩისა თუ ორთაბრძოლის მაყურებლისთვის გადაცემის დროს, სპორტული მედია თავისთავად გადის სამ ფაზას: ინფორმაციის დაშლას, მის გაანალიზებასა და შემდეგ მომხმარებლისთვის მიწოდებას. მსგავსი ტიპის სისტემის მიზანი ისაა, რომ სპორტულმა მედიამ მაყურებელს ისეთი ტიპისა და სტილის ინფორმაცია მიაწოდოს, რაც შესაბამისი სოციალურ-კულტურული რეალობის

ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, სპორტის დახმარებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში თავად ჟურნალისტები და წამყვანები მონაწილეობენ, რომლებსაც თანამედროვე ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი დისკურსი ახასიათებთ, რაც დღის წესრიგში პერსონიზირებული მედიის განვითარებამ დააყენა. უმეტესად, კამერასთან მომუშავე ჟურნალისტები გარკვეული მორალის, ღირებულებათა სისტემისა და შესაბამისი რეალობის შექმნას უწყობენ ხელს, რაც პროპაგანდის მნიშვნელობით თავისუფლად გამოიყენება.

„სპორტი შეიცავს მედიატორულ თვისებას დააკავშიროს ორი ერთმანეთისგან განცალკევებული პოლიტიკური მხარე“ (Durbin & Descamps, 2017). ომების, კონფლიქტებისა თუ გარკვეული დაპირისპირებების დროს, სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა წყდება, თუმცა გამოსავლად სპორტი და მისი შემაკავშირებელი ძალა რჩება, რაც პოლიტიკური განცხადებების, ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის გასაზიარებლად/გასავრცელებლად გამოიყენება. თავის მხრივ, ამავე პოლიტიკურ მიმართვებს მსოფლიოში რამდენიმე მილიარდი ადამიანი ისმენს, ეს კი ამავე სფეროს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნამდე გვაბრუნებს, მოიპოვო ხალხის ნდობა და გადადგა სისტემური, სტრუქტურული ნაბიჯები. სპორტი ყველაფრისგან დამოუკიდებლად არ არსებობს, ის კავშირშია ბრენდინგთან, მუსიკასთან, ფილმებთან, ვიდეო თამაშებთან და სხვა უამრავ სფეროსთან, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით ერთ დიდ ფინანსურ ინდუსტრიას აყალიბებენ, რაც შემდგომში გამოიყენება პოლიტიკური განცხადებების საზოგადოებისთვის მისაწოდებლად, რომელიც კავშირშია კულტურის, ღირებულების და სოციალური ორიენტაციის ჩამოყალიბებასთან (Durbin & Descamps, 2017).

იგივე მეორდება ჯეფრი ჰილის ნაშრომში (Introduction: Sports and Politics), რომელშიც ნათქვამია, რომ სპორტი არათუ დამოუკიდებლად, არამედ სოციოლოგიასთან, კანონებთან, ბიზნესთან და ფსიქოლოგიასთან ასოცირებულად განიხილება, რათა დადგინდეს სპორტის რეალური მნიშვნელობა და ძალა: „სპორტი, ანუ ანალიზის საგანი ვერ იქნება ისევე მარგინალიზებული, როგორც ეს წარსულის პრაქტიკაში ხდებოდა“ (Hill, 2003). სპორტს შეუძლია, რომ საზოგადოებისა და სოციუმის სხვადასხვა სფერო ასახოს, როგორც ეს

ბრიტანულმა ფეხბურთმა XIX საუკუნის ბოლოს გააკეთა და უფრო მკვეთრად წარმოაჩინა სოციუმის ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ბიზნესის შესაძლებლობები, ურბანული ცვლილებები, რელიგიური მიკუთვნებულობები, მუნიციპალური მმართველობა, ცვლილებები საკომუნიკაციო სისტემაში, მათ შორის გაზეთების, პრესის გავლენის გაზრდა და ა.შ (Hill, 2003). სპორტის მრავალფეროვან მნიშვნელობაზე საუბრობს ჯეიმი შინი ლი თავის ნაშრომში (Sports, Instagram, and Conflict talk in English), რომლის უმთავრესი დასაყრდენიც სოციალურ-ენობრივი ლინგვისტიკაა, რაც კავშირშია სპორტში არსებულ გამონათქვამებსა (უახლესი მედიით, ანუ სოციალური ქსელით გავრცელებული) და მათი საზოგადოების აღქმის დეტალიზაციაზე: „სპორტი არ არის მხოლოდ ფიზიკური აქტივობა, აქ გამოყენებულმა ენობრივმა გამონათქვამებმა ჩვენს ყოველდღიურ ლექსიკაზე გავლენა მოახდინა“ (Jamie Shinhee Lee, 2020). მიუხედავად იმისა, რომ სპორტში არსებული საკომუნიკაციო ლექსიკა მაყურებელთა აზროვნების პროცესს აყალიბებს (ზოგ შემთხვევაში კი ცვლის), ის საფუძვლიანად მაინც არ გამოკვლეულა, მიზეზად კი სახელდება ის, რომ სპორტი უბრალოდ სპორტია და მის შინაარსში არაფერია ისეთი, რაც სოციუმის კულტურასთან იქნებოდა კავშირში. სინამდვილეში, სპორტში უკვე დამკვიდრებულია „ჩვენ“ - „მათ წინააღმდეგ“ პრაქტიკა, სადაც გარკვეული ორი სოციალური ჯგუფი ერთმანეთს უპირისპირდება. თავის მხრივ, ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მძლავრი პროპაგანდა, რომლის ინიციატორიც მხარდამჭერთა მოკრებასა და მათ „მტერთან“ დაპირისპირებას მოემსახურება. ამ თვალსაზრისით, ავტორი 4 მნიშვნელოვან ასპექტს გამოარჩევს, რომლებიც გამოკვლეულია მის ნაშრომში, ესენია: აშკარა დაკნინება, ხაზგასმა მანძილის სიშორეზე, გადაჭარბებული განზოგადება/სტერეოტიპები და საკუთარი თავის პოზიტიურად, ხოლო მოწინააღმდეგის ნეგატიურად წარმოჩენა. საგულისხმოა, რომ ყველა ზემოაღნიშნული ელემენტი მძლავრად ახასიათებს პროპაგანდის შინაარსს, რაც პირდაპირ გამოიხატება სპორტსა და სპორტულ მოვლენებში (Jamie Shinhee Lee, 2020).

ზოგადად სპორტისა და მედიის ურთიერთგავლენაზე საუბრობს ლოურენს ვენერი თავის ნაშრომში (Media, Sports, and Society), რომელშიც ყურადღება გამახვილებულია როგორც

სპორტული მედიის პოლიტიკურ ასპექტებზე (სოციუმის მიმართ), ისე სპორტისა და კულტურის ძლიერ ურთიერთკავშირზე: „ადრევე განვიცადე სპორტული სისტემისა და კულტურის გადაკვეთის სიმწარე, როდესაც ჩემი ჩოგბურთის გუნდიდან გრძელი თმის ტარებისთვის მომკვეთეს“ (Wenner, 2021). სპორტის კულტურული თვითმყოფადობის გზას მიჰყვება აშშ და მისი სუპერ ბოული, რომლის თამაშამდეც დადგმული პერფორმანსის უმთავრესი მიზანი ამავე ქვეყნის კულტურისა და იდენტობის მაყურებლისთვის გაცნობაა, ეს კი მარტივად შეიძლება აღვიქვათ, როგორც მძლავრი პროპაგანდა. ავტორი დასაწყისშივე აკეთებს აქცენტს სპორტისა და მედიის გადაჯაჭვულობის ფაქტორზე, რადგან დღესდღეობით, დიდი სპორტული და მედია მოვლენა ერთმანეთისგან განცალკევებით აღარ არსებობს, მაგალითისთვის კი მსოფლიოს ჩემპიონატი ან სუპერ ბოული გამოდგება, რომელთა გაშუქების ტემპები სულ უფრო და უფრო იზრდება: „მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ფინალს 1.5 მილიარდმა ადამიანმა უყურა“ (*FIFA World Cup Final Beat Super Bowl LVI By More Than One BILLION Viewers In TV Ratings*, 2023). ვენერი ერთმნიშვნელოვნად ასკვნის, რომ სპორტის გლობალიზაციის, კორპორატიზაციისა და სამომხმარებლო პროცესის აღზევება (რომლის მიზანიც სხვადასხვა იდეოლოგიისთვის ბუნებრივი ელფერის მინიჭებაა) დღის წესრიგში ვერ დადგებოდა, რომ არა სპორტული მედიისა და მისგან ჩამოყალიბებული ჩარჩოების განვითარება.

სპორტი და სპორტული მოვლენები თავიანთი შინაარსით აღიქმება როგორც რაიმე ისტორიული პროცესის ილუსტრატორად და გამომსახველ ძალად, რაც მის მრავალფეროვან ბუნებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. შესაბამისად, მუდმივად არსებობს შანსი იმისა, რომ პოლიტიკამ სპორტში, ხოლო სპორტმა კი პოლიტიკაში შეაღწიოს: „სპორტისა და პოლიტიკის მყარად გაერთიანება მისასალმებელია“ (Jeffrey Hill, 2003). საზოგადოებისთვის ეს მნიშვნელოვანი და მრავლისმომცველი სფერო უძველესი დროიდან მულტიფუნქციურია და მისი აქტუალობა დღემდე შენარჩუნებულია, რაც ყველაზე მკაფიოდ სოციუმის სხვადასხვა ნიშნით დიფერენციაციის პროცესში გამოიხატება.

თეორიული არგუმენტები

როგორც კომუნიკაციის მკვლევარი, ხათუნა მაისაშვილი (2018) აღნიშნავს, ტერმინ „დისკურსის“ დეფინიცია საკმაოდ მრავალფეროვნად აღიქმება და მისი ზუსტი ათვისებისთვის საჭიროა, რომ ის კონკრეტულ შემთხვევასა და კონტექსტს მოვარგოთ. ამავე მკვლევრის აზრით, დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ჟანრი, ისე ტექსტის გარკვეული სახე ან მათი კლასი. თავის მხრივ, ხათუნა მაისაშვილის (2018) კვლევაში მოყვანილია ენათმეცნიერ გიუნთერ კრესის შეფასება, რომელსაც მიაჩნია, რომ ტერმინი „დისკურსი“ იმ ღირებულებებისა და მნიშვნელობების საერთო სახეა, რომლებსაც სოციალური ჯგუფები და ინსტიტუციები ენაში სისტემურად იყენებენ. ზოგადი დისკურსის ნაირსახეობაა პოლიტიკური დისკურსიც, რომლის სემიოლოგიურ ფარგლებში შესწავლაზე ორიენტირებული მეცნიერები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ენობრივი ნიშნების საშუალებით გამოიხატება. ამას ისინი იმ არგუმენტით ხსნიან, რომ თავად პოლიტიკის არსი კოდიფიცირებულ ნიშნებთანაა დაკავშირებული, რომელთა აქტუალიზაციამდეც მათი წარმოთქმის პროცესში მივდივართ. გარდა დისკურსის განმარტებისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია კიდევ ორი ცნების, კერძოდ „პოლიტიკის ენისა“ და „პოლიტიზებული ენის“ დეფინაციათა გააზრება. ამერიკელი მეცნიერის, ე.დეივისის შეფასების მიხედვით (A. Davis, 1994), პოლიტიკის ენა სხვა არაფერია თუ არა ამავე პროფესიისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რომელსაც პოლიტიკოსები თავიანთ ამპლუაში იყენებენ. რაც შეეხება პოლიტიზებულ ენას, ის კავშირშია დარწმუნების, კონტროლისა და მანიპულაციის საშუალებებთან, რომლებსაც პროფესიონალი პოლიტიკოსები თუ სახელმწიფო მოხელეები სათავისოდ იყენებენ. ე.დეივისის შეფასებას ნაწილობრივ ეთანხმება რუსი მკვლევარი, ელენა შეიგალი (2001), რომელიც აღნიშნავს, რომ ამავე ცნებებს ერთმანეთთან საერთოც აქვთ. მისი აზრით, შეიძლება, რომ მანიპულაციის ხერხად პოლიტიკის ენაც აღიქმებოდეს, თუმცა დარწმუნება და გაკონტროლება მის ერთადერთ თვისებად არ უნდა მოვიაზროთ, რადგან მისი რეფერენციული ნიშნები ინფორმაციულ ფუნქციასაც ითავსებს. თავის მხრივ, ისიც შეიძლება, რომ პოლიტიზებული

ენა სამანიპულაციო საშუალებად სხვადასხვა სფეროში შეგვხვდეს, მაგალითად სარეკლამოში, რელიგიურში, პედაგოგიურში და სხვა. გარდა ზემოაღნიშნულის გააზრებისა, ნაშრომში გამოვიყენებთ მითის ცნებას, რომლის ფუძემდებელიც ფრანგი ენათმეცნიერი და კულტუროლოგი, როლან ბარტია. სწორედ მას ეკუთვნის „თვის მითოლოგიის“ კონსტრუქტი, რომლის მთავარი მიზანიც იმის დადგენა იყო თუ როგორ ვლინდებოდა საზოგადოების მიერ დამყარებული მითები მათსავე არსებულ კულტურაში. როლან ბარტის გაგების თანახმად, მითი შეიძლება იყოს ხატი, სიტყვა, გამონათქვამი, რომელთა გამოყენებითაც კულტურა ან პოლიტიკა რეალობის სინამდვილეს გვიჩვენებს და გამოსახავს (ხათუნა მაისაშვილი 2018). ბარტი აღნიშნავს, რომ მითების სისტემაში ცალკეა გამოსაყოფი დომინანტური დისკურსის მითები, რომლებიც ისტორიას ან მის გარკვეულ მოვლენას ბუნებრივ და ორგანულ ნაწილად აქცევს (Fiske: 84-85). გარდა ამისა, არსებობს კიდევ ორი მნიშვნელოვანი მითის კატეგორია, ესენია: „მითი-იდილია“ და „მითი-კოშმარები“. პირველი მათგანის მიზანია, რომ საზოგადოებაში დადებითი ღირებულებები დაამკვიდროს, მეორეს მიზანი კი უარყოფითი ღირებულებების დაგმობა და მისი განდევნაა.

კვლევის დიზაინი

მეთოდის აღწერა და ემპირიული მონაცემები

ნაშრომი ეფუძნება სემიოლოგიურ მიდგომას, ხოლო საკვლევ ტექნიკად არჩეულია კონტენტანალიზი, რომელიც მეტწილად დატვირთული და წარმოდგენილი იქნება თვისებრივი თვალსაზრისით, ვიდრე რაოდენობრივით (გამოყენებული ისიც იქნება).

კვლევითი შეკითხვა

როგორ და რა კონტექსტში იყენებს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა ან აქტორი სპორტსმენის მიღწევას, მის სახელსა და რეპუტაციულ ღირებულებას და მიესადაგება თუ არა ეს ყოველივე პოლიტიკურ მიზნებს.

კვლევის შედეგები. განხილვა

მითი, როგორც დისკურსის ელემენტი

ნაშრომი დაეყრდნობა მითის 3 კატეგორიას, ესენია: „დომინანტური დისკურსის მითები“, „მითი-იდილიები“ და „მითი-კოშმარები“, რომლებშიც ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითები იქნება დახარისხებული.

მითი-კოშმარები

1. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ უკრაინის მიერ გამოქვეყნებული ანტიკორუფციული სია აბსურდულია. მისივე აზრით, აღნიშნული სია იმდენად დაუჯერებელია, რომ მასში ხვიჩა კვარაცხელიასა და თორნიკე შენგელიას გვარების ნახვაც არ იქნება გასაკვირი. ირაკლი კობახიძის ეს განცხადება ამავე კატეგორიის სრულფასოვანი ელემენტი და შემადგენელი ნაწილია. ირაკლი კობახიძე თავისი სიტყვებით ყურადღებას ამახვილებს გამოქვეყნებული სიის არარეალურობასა და მის სიმართლესთან, შესაბამის ღირებულებასთან დაშორების

ფაქტორზე, ამით კი ის უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს, ანუ „ბოროტი ძალის“ დემონიზაციას ახდენს, რაშიც ორ ისეთ მაღალრეპუტაციულ ქართველ სპორტსმენს იხმარს, როგორებიც თორნიკე შენგელია და ხვიჩა კვარაცხელია არიან.[1]

2. ხვიჩა კვარაცხელიას იტალიურ „ნაპოლიში“ გადასვლისას პირველ პრესკონფერენციაზე შეკითხვა უკრაინისა და რუსეთის ომის შესახებ დაუსვეს, რაზეც მან ჟურნალისტებს მოკლედ უპასუხა, რომ ეს სიტუაცია რთულია, მას პოლიტიკური სახე აქვს და ამაზე საუბარი არ სურს. [2] ქართველი ფეხბურთელის ამ კომენტარს გამოეხმაურა ქართველი ჟურნალისტი ვახო სანაია, რომელმაც ხვიჩა კვარაცხელია საჯაროდ გააკრიტიკა. მან თქვა, რომ კვარაცხელიას, რუსეთისგან ოკუპირებული ქვეყნის წარმომადგენელს მორალურად მართებდა, რომ უკრაინის შესახებ მეტი ესაუბრა. ვახო სანაიას იმედი ჰქონდა, რომ ხვიჩა კვარაცხელია ამავე საკითხთან დაკავშირებით დამოკიდებულებას შეიცვლიდა, თუმცა ჟურნალისტის ქართველი ფეხბურთელისადმი ჩამოყალიბებული აზრი ზუსტად ისეთივე კრიტიკული დარჩა, როგორც ეს ამავე განცხადებაშია წარმოდგენილი. ვახო სანაიას ეს შეფასება „მითი-კოშმარების“ შესაფერისი მაგალითია, რადგან ის ხვიჩა კვარაცხელიას პორტრეტს ხატავს როგორც რუსეთუმესა და ანტი-დასავლელს, რომელიც სპორტისგან პოლიტიკას მიჯნავს და ოკუპანტი ქვეყნის საომარი ქმედებების შესახებ პრესკონფერენციაზე არაფერ კონკრეტულს არ ამბობს.[3]

3. წინა მაგალითის უშუალო გაგრძელებაა სამოქალაქო აქტივისტის, გიგა მაქარაშვილის პოსტი, რომელიც ხვიჩა კვარაცხელიას განცხადებას ეხმაურება და წერს, რომ შესაძლოა კარგი ფეხბურთელი გამოხვიდე, თუმცა თუ საკმარისად კარგი ადამიანი არ

---

[1]მანაგაძე თ., *ირაკლი კობახიძე - უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სია ისეთი აბსურდულია, შეიძლება, მასში ხვიჩა კვარაცხელია და თორნიკე შენგელიაც ჩაწერონ*, 1tv.ge, 07/09/2022, <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-ukrainis-antikorufciuli-saagentos-mier-gamoqveynebuli-sia-iseti-absurdulia-sheidzleba-masshi-khvicha-kvarackheliac-da-tornike-shengeliac-chaweron/>, [22/06/2023]

[2]*ხვიჩა კვარაცხელია - ვფიქრობ, რუსეთში არსებული მდგომარეობა პოლიტიკური საკითხია*, expressnews.ge, 15/07/2022, <https://expressnews.ge/index.php?id=148483&lang=en>, [22/06/2023]

[3] *ვახო სანაია ხვიჩა კვარაცხელიაზე: არ ვიცი, რა ვალდებულებები აქვს ასეთი რუსულ კლუბთან, მაგრამ მართლა ვერ ვუგულშემატკივრებ, სანამ მკაფიო პოზიცია არ ექნება უკრაინაზე*, imedinews.ge, 15/07/2022, <https://imedinews.ge/ge/politika/257497/vakho-sanaia-khvicha-kvaratskheliaze-ar-vitsi-ra-valdebulebebi-aqvs-aseti-rusul-klubtan-magram-martla-ver-vugulshematkivreb-sanam-mkapio-pozitsia-ar-eqneba-ukrainaze>, [29/06/2023]

ხარ, ამას არაფერი უშველის. ამ სიტყვებით გიგა მაქარაშვილმა ვახო სანაიას მსგავსად, ხვიჩა კვარაცხელიას რეპუტაცია და სახელი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, რაც მისი აზრით, გადასინჯვასა და ხელახალ შეფასებას მოითხოვს.[4]

4. პოლიტიკური შეტევის ობიექტი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე. ოპოზიციონერები ლაშა ტალახაძის და სხვა სპორტსმენების პრემიერ მინისტრთან გადაღებულმა საერთო ფოტომ გააღიზიანა. ამის შემდეგ მისი დისკრედიტაცია დაიწყო, რის შესახებაც მმართველი გუნდის წევრმა, კერძოდ მიხეილ ყაველაშვილმა განცხადება გაავრცელა. მან თქვა, რომ ოპოზიცია ყველა იმ ადამიანს უტეხს სახელს, რომელსაც საქართველოსთვის წარმატების მოტანა შეუძლია. მისივე განცხადების მიხედვით, ყოველგვარი ქართული წარმატება პოლიტიკური ოპონენტების დღის წესრიგის საწინააღმდეგოა. ამ კომენტარით მიხეილ ყაველაშვილი იყენებს ლაშა ტალახაძის საზოგადოებისა და ქართველი გულშემატკივრის ცნობიერში დამკვიდრებულ რეპუტაციას იმისათვის, რათა პოლიტიკური ოპონენტების სახე ანტი-ქართულად და ქვეყნის მტრად წარმოგვიჩინოს.[5]
5. წინა მაგალითის გაგრძელებაა ირაკლი სესიაშვილის, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება, რომელმაც ლაშა ტალახაძე პოლიტიკური ბულინგისგან დაიცვა, მისი მოწინააღმდეგეები კი ანტი-ქართულ ძალად წარმოგვიჩინა. ირაკლი სესიაშვილმა თქვა, რომ ლაშა ტალახაძის, ქვეყნის გამარჯვებული მოქალაქის ქილიკი და მისი დისკრედიტაცია უმსგავსო საქციელია. ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ ლაშა ტალახაძე საქართველოს ჰიმნს საერთაშორისო ტურნირებზე კიდევ არაერთხელ გააჟღერებს, ხოლო ოპოზიციონერებს ურჩევს, რომ საბჭოთა კავშირის ჰიმნს მოუსმინონ.[6]

---

[4] *„მძიმე ამბავია და გაფრთხილებთ, ეს პოსტი არ მოგეწონებათ“ - გიგა მაქარაშვილი*, primetime.ge, 15/07/2022, <https://primetime.ge/news/sporti/mdzime-ambavia-da-gafrtkhilebt-es-posti-ar-mogetsonebat-giga-maqarashvili>, [22/06/2023]

[5] გამსახურდია ს., *სპორტსმენების შეურაცხყოფაპოლიტიკური მიზნებისთვის*, imedi.ge, 20/02/2020, <https://www.imedi.ge/ge/video/49587/sportsmenebis-sheuratskhkopa-politikuri-miznebistvis>, [22/06/2023]

[6] კოპალიანი ე., *ირაკლი სესიაშვილი - ლაშა ტალახაძე კიდევ ბევრჯერ ააფრიალებს საქართველოს დროშას, მსოფლიო მოისმენს საქართველოს ჰიმნს, ჩვენმა ოპონენტებმა კი საბჭოთა კავშირის ჰიმნს უსმინონ*, 1tv.ge, 19/02/2020,

6. შალვა ნათელაშვილი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, სადაც ქართველ სპორტსმენებს აკრიტიკებს და „კუნთიან და სულამოცლილ ჩემპიონებს“ უწოდებს. ნათელაშვილის აზრით, თანხები, რომლებსაც სახელმწიფო კონკრეტული სპორტსმენებისთვის ხარჯავს, მასობრივი სპორტისთვის უნდა იქნას გადადებული. შალვა ნათელაშვილი ქართველ სპორტსმენებს მხედრიონად მოიხსენიებს და ამბობს, რომ ისინი მილიონებს უსამართლოდ შეექცევიან. ამ კომენტარით ქართველი პოლიტიკოსი ქვეყნის სპორტსმენების სახეს წარმოაჩენს როგორც ღირებულებისგან და მორალისგან დაცლილს, ეს კი „მითი-კოშმარების“ სრულფასოვან მაგალითს წარმოადგენს.[7]
7. წინა მაგალითის გაგრძელებაა თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადება, რომელმაც ქართველი სპორტსმენები პოლიტიკური შეტევისგან დაიცვა, მათი მტრები კი საერო მტრის სახედ წარმოგვიჩინა. კახა კალაძემ თქვა, რომ გამარჯვებისა და საზეიმო განწყობის მომტანი ქართველი სპორტსმენების კრიტიკა მხოლოდ ოპოზიციის, ანუ დეგრადირებული ადამიანების საქმეა, თავად სპორტსმენებმა კი ოპოზიციონერთა განცხადებებს ყური საერთოდ არ უნდა დაუგდონ. კახა კალაძე ამ კომენტარით გმობს პოლიტიკური ოპონენტების დამოკიდებულებას ქართველი სპორტსმენებისადმი, რის ხარჯზეც მისი საზოგადოების ცნობიერში დამკვიდრებული რეპუტაცია პროგრესს განიცდის.[8]
8. საქართველოს სპორტსმენებზე გაკეთებულ ნეგატიურ განცხადებებს ეხმაურება მიხეილ ყაველაშვილი, რომელიც კახა კალაძის მსგავსად, მათ პოლიტიკური

<https://1tv.ge/news/irakli-sesiashvili-lasha-talakhadze-kidev-bevrjer-aafrialebs-saqartvelos-droshas-msoflio-moismens-saqartvelos-himns-chvenma-oponentebma-ki-sabchota-kavshiris-himns-usminon/>, [22/06/2023]

[7] *შალვა ნათელაშვილი - ქართული პროფესიული სპორტის გაგონება არ მინდა, აღარ გვინდა, ბატონო ასეთი კუნთიანი, სულამოცლილი ჩემპიონები*, 1tv.ge, 18/02/2020, <https://1tv.ge/news/shalva-natelashvili-sportis-gagoneba-ar-minda-aghar-gvinda-batono-aseti-kuntiani-sulamoclili-chempionebi/>, [22/06/2023]

[8] მამალაშვილი ე., *კახა კალაძე - მორაგბეების ფრჩხილის ფასად არ ღირს არც ერთი ადამიანი, ვინც შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს წარმატებულ სპორტსმენებს*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-moragbeebis-frchkhilis-fasad-ar-ghirs-arc-erti-adamiani-vinc-sheurackhyofas-ayenebs-chvens-warmatebul-sportsmenebs/?fbclid=IwAR26w_jwK7pNDaQPQObiqYXJ1m8u3cV16nSB18bOCLbyBxTqDEPij7mMcl0>, [22/06/2023]

ოპონენტებისგან იცავს, ამით კი ოპოზიციური ძალის ქვეყნის მტრად გამოვლინებას უწყობს ხელს. მიხეილ ყაველაშვილი ამბობს, რომ ოპოზიციის ფრთა დეგრადირებულია, მათი განცხადებები კი წარმატებული ქართველი სპორტსმენების ბულინგსა და დისკრედიტაციას ემსახურება.[9]

9. ფოტოს, რომელიც საქართველოს მთავრობის გვერდზე გამოქვეყნდა, ეხმაურება სამოქალაქო აქტივისტი ზუკა ბერძენიშვილი. აღნიშნულ ფოტოზე ერთად დგანან 2019 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები და გიორგი გახარია, რაც ზუკა ბერძენიშვილმა საჯაროდ გააკრიტიკა. მისი აზრით, უმთავრესი ადამიანობაა და არა ის ჩინ-მედლები, რომლებიც ქართველ სპორტსმენებს ქვეყნისთვის მოაქვთ. სამოქალაქო აქტივისტი ამბობს, რომ სპორტსმენები მომავალი თაობისთვის მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ, რის გამოც აქციის დამარბეველ და აქტივისტებზე მოძალადე პოლიტიკოსის გვერდით ფოტოებს არ უნდა იღებდნენ. ზუკა ბერძენიშვილი სწორედ ამის ფონზე იხსენებს ერთ-ერთ დაზარალებულ აქტივისტს, რომელმაც სამართალდამცავთა მოქმედებების გამო ცალი თვალი სამუდამოდ დაკარგა. ქართველი სამოქალაქო აქტივისტი ამ განცხადებით საქართველოს სპორტსმენების მიმართ კრიტიკული აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და მათ მოპოვებულ რეპუტაციასა და ღირებულებით დონეს საჯაროდ გმობს. [10]

10. ქართული ოპოზიციის მხრიდან სპორტსმენებზე გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება შოთა ხაბარელი, რომელიც სპორტსმენებს ოპოზიციის ბულინგისგან იცავს და მათი მტრის ხატის შექმნას უწყობს ხელს. როგორც ის ამბობს, ოპოზიციონერები უღირსები არიან, რისი გამოვლენაც ჯერ კიდევ 2007 წელს, სპორტის აკადემიის გაუქმებით დაიწყო. შოთა ხაბარელი იხსენებს გრიგოლ ვაშაძის, პრეზიდენტობის კანდიდატის ინიციატივას, რომელიც ფეხბურთის გაუქმებას მოიაზრებდა. მისი

---

[9] კოპალიანი ე., *მიხეილ ყაველაშვილი - ჩვენი სასიქადულო სპორტსმენები დესტრუქციული და დეგრადირებული ძალისგან უნდა დავიცვათ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/mikheil-yavelashvili-chveni-sasiqadulo-sportsmenebi-destruqciuli-da-degradirebuli-dzalisgan-unda-davicvat/>, [22/06/2023]

[10] *ბერძენიშვილისა და ლაშა ტალახაძის ფეისბუკდაპირისპირება - ოლიმპიურ ჩემპიონს გახარიასთან გადაღებული ფოტოს გამო აკრიტიკებენ*, rustavi2.ge, 05/02/2020, <https://rustavi2.ge/ka/news/154498>, [22/06/2023]

აზრით, მასობრივი სპორტის გაუქმება ქვეყნისთვის დამღუპველი იქნებოდა, პოლიტიკური ოპონენტების განცხადებები კი ყოველგვარი აზრისგანაა დაცლილი. შოთა ხაბარელი ამ დამოკიდებულებით ქართულ ოპოზიციას და მის პოზიციონირებას საჯაროდ გმობს, ამ შემთხვევაში კი მისი დამხმარე „ძალა“ ქართული სპორტია. [11]

მითი-იდილიები

1. იტალიური „ნაპოლის“ და ქართული ფეხბურთის წარჩინებულ წარმომადგენელს შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც კვარაცხელიასთან ერთად ფოტო გადაიღო, მას საამაყო უწოდა და ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. ამ ქმედებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხატავს იდილიურ სურათს და მითი-იდილიის პარალელურად, ზოგადეროვნულ მითს (ჩვენი და მათი) იყენებს, რათა თავისი და ხვიჩა კვარაცხელიას როგორც სახელი, ისე გავლენა საერთო კონტექსტში წარმოგვიჩინოს.[12]
2. ხვიჩა კვარაცხელიას, რომელმაც თქვა, რომ რუსეთში არსებული მდგომარეობა მხოლოდ პოლიტიკური საკითხია, გამოეხმაურა ალეკო ელისაშვილი. მან თქვა, რომ ხვიჩა კვარაცხელიას, ქვეყნის პატრიოტ სპორტსმენს საქართველოსთვის იმაზე მეტი გაუკეთებია, ვიდრე ამავე ადამიანის კრიტიკოსებს, რომლებიც ქვეყნის წარმატებისთვის თითს თითზე არ ადებენ. ამ განცხადებით ალეკო ელისაშვილი ეხმაურება კვარაცხელიასადმი წამოწყებულ ბულინგის კამპანიას, რომელიც ხალხზე გავლენის მქონე ქართველ სპორტსმენს იცავს, ამით კი მის, ანუ ხალხის მხარეს ავტომატურად იჭერს.[13]

---

[11] კოპალიანი ე., *შოთა ხაბარელი - ქვეყანაში, სამწუხაროდ, გვყავს ადამიანები, რომლებიც უღირსად მოიხსენიებენ ჩვენს სპორტსმენებს, ამ ადამიანებზე მაღლა უნდა დავდგეთ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/shota-khabareli-qveyanashi-samwukharod-gvyavs-adamianebi-romlebic-ughirsad-moikhsenieben-chvens-sportsmenebs-am-adamianebze-maghla-unda-davdget/>, [22/06/2023]

[12] *ირაკლი ღარიბაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას შეხვდა*, imedinews.ge, 14/11/2022, <https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/270648/irakli-garibashvili-khvicha-kvaratskhelias-shekhvda>, [22/06/2023]

[13] *არაფრისმაქნისები, ვიღაც ქეციანი უსაქმურები, თითი თითზე რომ არ დაუდიათ საქართველოსთვის, თავი დაანებეთ ამ ბიჭს - ალეკო ელისაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას მხარში ამოუდგა*, resonancedaily.com, 16/07/2022,

3. წინა მაგალითის გაგრძელებაა დიმა ობოლაძის კომენტარი, რომელიც მან ხვიჩა კვარაცხელიასა და რუსეთის საკითხის შესახებ დააფიქსირა: „ქართველი სპორტსმენი წარმატებას რომ აღწევს, ეს გიენები რომ გამოხტებიან, ერთი რაღაც მინდა მოკლედ გითხრათ. ნამუშევარი ვარ რამდენიმე მათგანთან, ვინც გამოვარდა და ხვიჩა კვარაცხელიას ეცა, თან ისე, რომ მოსმენილი არ ჰქონდათ.. დამიჯერეთ, თავ-პირს წაიმტვრევთ ამ თემაზე“ - თქვა დიმა ობოლაძემ და მანაც ელისაშვილის მსგავსად, ხვიჩა კვარაცხელიას რეპუტაცია დაიცვა, ამით კი საზოგადოებისთვის იდილიური გადაწყვეტილება მიიღო.[14]
4. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ლაშა ტალახაძის საერთაშორისო წარმატებას სოციალურ ქსელში პოსტის გამოქვეყნებით გამოეხმაურა და დაწერა, რომ ტალახაძის ამ გამარჯვებას ქვეყანა დიდი ხანი მოუთმენლად ელოდა. ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველი სპორტსმენის წარმატება მთელ ქვეყანას მიულოცა, რომლითაც მან იდილიური მითი და მასზე დამყარებული ღირებულებები გააცოცხლა, რომელთან ერთადაც, თავის მხრივ, ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებასთან დადებითი ინტერაქცია ჩამოაყალიბა.[15]
5. ქრონიკის მთავარი გამოშვების სიუჟეტში საუბარი შეეხო მორალურ ტერორს რაგბის კავშირის მიმართ, ბიძინა ივანიშვილისთვის დაბადების დღის მილოცვის გამო. ამ ფაქტს გამოეხმაურა ლერი ხაბელოვი, რომელმაც თქვა, რომ ქართული რაგბის დამფინანსებლისთვის დაბადების დღის მილოცვა არანაირ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან სწორედ ბიძინა ივანიშვილი იყო ადამიანი, რომელმაც ქართული რაგბი ფინანსური კრიზისიგან იხსნა. ლერი ხაბელოვი ამ კომენტარით

<http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=1&id_artc=161541>, [22/06/2023]

[14] *დიმა ობოლაძე ხვიჩა კვარაცხელიას ბულინგზე: „ნაპოლიში“ წავიდა, დიეგო მარადონას გუნდში „კვარადონას“ ეძახიან - თუ შეგიძლიათ, მხარი დაუჭირეთ, თუ არადა ჩუმად იყავით*, imedinews.ge, 16/07/2022,
<https://imedinews.ge/ge/sporti/257515/dimitri-oboladze-khvicha-kvaratskhelias-bulingze-napolishi-tsavida-diego-maradonas-gundshi-kvaradonas-edzakhian--tu-shegidzliat-mkhari-dauchiret-tu-arada-chumad-ikavit>, [22/06/2023]

[15] *ირაკლი ღარიბაშვილმა ლაშა ტალახაძეს მორიგი ოლიმპიური ოქრო და რეკორდი ტელეფონით მიულოცა*, 1tv.ge, 04/08/2021,
<https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilma-lasha-talakhadzes-morigi-olimpiuri-oqro-da-rekordi-telefonit-miuloca-video/>, [22/06/2023]

ივანიშვილის მიმართ სპორტის დახმარებით იდილიურ მითსა და დადებით ღირებულებებს ამკვიდრებს.[16]

6. ხვიჩა კვარაცხელიას საქართველოს კათალიკოს პატრიარქთან გადაღებულ საერთო ფოტოს ეხმაურება ირაკლი კობახიძე: „ხვიჩა კვარაცხელია თავისი არსით არის ჩემპიონი მოწოდებულია ამისთვის. რაც შეეხება ე.წ ლიბერალებს, ფსევდო ლიბერალებს, ისინი არიან უბრალოდ ქაჯები. ეს შემიძლია, გითხრათ ერთადერთი იმ კომენტარებთან დაკავშირებით, რაც მათი მხრიდან ვრცელდება ხვიჩა კვარაცხელიასთან დაკავშირებით. ასევე თქვენ იცით, რომ მათი კომენტარები ეხებოდა უწმინდესს და უნეტარეს, რა თქმა უნდა, მათი ასეთი კომენტარები არის უბრალოდ ქაჯობა“ - თქვა კობახიძემ, რომელმაც ქართულ საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის მქონე სპორტსმენი დაიცვა, ამით კი იდილიური სურათი და დადებითი ღირებულებები დაამკვიდრა.[17]

დომინანტური დისკურსის მითები

ამ შემთხვევაში დომინანტური დისკურსის მითებად აღვიქვამთ ყოველი სპორტსმენის კრიტიკის ფაქტთან გამოხმაურების შემთხვევას, რომელიც რეფლექსურადაა შექმნილი „მითი-იდილიებისა“ და „მითი-კოშმარების“ გარემოში.

1. ქრონიკის მთავარი გამოშვების სიუჟეტში საუბარი შეეხო მორალურ ტერორს რაგბის კავშირის მიმართ, ბიძინა ივანიშვილისთვის დაბადების დღის მილოცვის გამო. სიუჟეტის დასაწყისშივე აღინიშნა, რომ ბოდიშის მოხდის ნაცვლად დღეს შალვა ნათელაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა და ბიძინა ივანიშვილის დასაყრდენად მოიხსენია როგორც სპორტსმენები, ასევე საპატრიარქო და კრიმინალები. სიუჟეტში

[16] მანაგაძე თ., *ლერი ხაბელოვი - ჩვენი სპორტსმენების დაბულინგება მიმდინარეობს, მოახლოვდა საპარლამენტო არჩევნები და ოპონენტები გააქტიურდნენ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/leri-khabelovi-chveni-sportsmenebis-dabulingeba-mimdinareobs-moakhlovda-saparlamento-archevnebi-da-oponentebi-gaaqtiurdnen/>, [22/06/2023]

[17] *ხვიჩა კვარაცხელია თავისი არსით არის ჩემპიონი, მოწოდებულია ამისთვის - ირაკლი კობახიძე*, tia.ge, 19/04/2023, <https://tia.ge/229886-xvicha-kvaracxelia-tavisi-arsit-aris-chempioni-motsodebulia-amistvis-irakli-kobaxidze.html>, [22/06/2023]

აღინიშნა, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასის რვაგზის მფლობელია. ბორჯღალოსნების ნაკრები ერთადერთია გუნდურ სახეობებში, რომელმაც მთავარ ფორუმზე - მსოფლიოს თასზე გასვლა მოახერხა და თანაც - ზედიზედ ხუთჯერ. ქართულ რაგბის 20 წელზე მეტია, აქტიურად ეხმარება ქართუ ჯგუფი. 184 671 439 ლარი - ეს არის თანხა, რომელიც ქართუ ჯგუფმა 2000 წლიდან დღემდე ქართული რაგბის განვითარებას მოახმარა, 2014 წელს კი მსოფლიო რაგბის კავშირმა ბიძინა ივანიშვილი რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ქართველი ბორჯღალოსნების შეურაცხყოფა კატეგორიულად მიუღებელია ვეტერანი მორაგბეებისთვის: „ყველა გაკეთებულ სიკეთისთვის მადლიერებით უნდა გამოხატო ეს ყველაფერი. ამ შემთხვევაშიც მილოცვა ადამიანის, რომელმაც ძალიან სერიოზული დახმარება გაუწია ქართულ რაგბის, ვთვლი, რომ სრულიად ლოგიკურია და ნორმალური. ამ შემთხვევაში საუბარია ბატონ ბიძინა ივანიშვილზე და მეც საშუალება მეძლევა ეხლა და მადლობა ვუთხრა მას ყველაფერი ამისთვის, რაც ქართული რაგბისთვის გააკეთა. სადაც ჩვენ ახლა ვდგავართ, სხვათაშორის, ეს მოედანიც თავიდან ბოლომდე იმ სიკეთით და სიყვარულით არის აშენებული, სადაც იზრდებიან თაობები. მამუკა გორგოძე და სხვები, ვინც არის ლეგენდარული, აქ არის გაზრდილი. რომ არა ეს სტადიონი, არც იქნებოდა არაფერი“,- ამბობს ვეტერანი ქართველი მორაგბე ვასილ კირვალიძე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ბიძინა ივანიშვილის დახმარების ისტორიულ, ორგანულ სახეზე, რაც ქართუ ჯგუფის საქმიანობას ქართული სპორტისთვის დადებითად წარმოაჩენს.[18]

2. წინა მაგალითის გაგრძელებაა კიდევ ერთი ვეტერანი მორაგბის, ალეკო ხვედელიძის კომენტარი, რომელიც ვასილ კირვალიძის მსგავსად, ყურადღებას ქართუ ჯგუფის ქართული რაგბისადმი დახმარების ფაქტსა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე ამახვილებს: „ამ ადამიანის დამსახურება ქართული რაგბისთვის ძალიან დიდია - ამდენი ბაზები, მოედნები აგვიშენა და ყველანაირად ეხმარება ქართულ რაგბს

[18]გამსახურდია ს., *სპორტსმენების შეურაცხყოფა პოლიტიკური მიზნებისთვის*, imedi.ge, 20/02/2020, <https://www.imedi.ge/ge/video/49587/sportsmenebis-sheuratskhkopa-politikuri-miznebistvis>, [22/06/2023]

განვითარებაში და თან დაბადების დღის მილოცვაში პრობლემას ვერ ვხედავ. თან ეს ერთჯერადად არ გაკეთებულა. ყოველ წელს ულოცავენ ამ ადამიანს.“[19]

3. ქართველი ძალოსანი ლაშა ტალახაძე ეხმაურება მის მიმართ წამოწყებულ ბულინგის კამპანიას და ამბობს, რომ სპორტსმენები პოლიტიკისგან საკმაოდ შორს არიან, რის გამოც მათი და პოლიტიკური მიზნების ერთმანეთში არევა ტალახაძეს არასწორად მიაჩნია. ის ამბობს, რომ სპორტსმენთა მთავარი მიზანი საქართველოსთვის გამარჯვების მოტანა და ეროვნული ჰიმნის აჟღერებაა. ლაშა ტალახაძე ამავე განცხადებით ყურადღებას ამახვილებს ქართველი სპორტსმენების პოლიტიკასა და სპორტთან ისტორიულ დამოკიდებულებასა და მის გამოვლინებაზე, რომ მათი მიზანი მხოლოდ საქართველოს სახელით წარმატების მიღწევაა და არა პოლიტიკაში მონაწილეობა.[20]
4. ზუკა ბერძენიშვილის, სამოქალაქო აქტივისტის კომენტარს ეხმაურება ლაშა ტალახაძე, რომელმაც მას ბერძენიშვილმა უზნეო უწოდა. ლაშა ტალახაძემ თქვა, რომ ასეთი ადამიანისთვის ფიზიკურად პასუხის გაცემა სპორტსმენს ავტომატურად მოძალადის სტატუსს ანიჭებს, რაც ქართველი ძალოსანის აზრით უსამართლო და სასაცილოა. როგორც ტალახაძე ამბობს, მსგავსი ადამიანები ყურადღებას მხოლოდ არაჯანსაღი კრიტიკის წყალობით იქცევენ. ლაშა ტალახაძე ამ კომენტარით აქცენტს საინტერესო დეტალზე ამახვილებს, რაც დომინანტური დისკურსის მითების რეალური მაგალითია. მისი თქმით, პასუხის ძალოვანი სახით გაცემა ადამიანს დამნაშავედ ავტომატურად აქცევს, რაც ქართული რეალობის ისტორიულ სახესა და მის გამოვლინებას დაზუსტებით ასახავს.[21]

---

[19]გამსახურდია ს., *სპორტსმენების შეურაცხყოფა პოლიტიკური მიზნებისთვის*, imedi.ge, 20/02/2020, <https://www.imedi.ge/ge/video/49587/sportsmenebis-sheuratskhkopa-politikuri-miznebistvis>, [22/06/2023]

[20]*ლაშა ტალახაძე - შევეცდები, მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ჰიმნი ავაჟღერო, ეს იქნება პასუხი ყველა იმ ადამიანისადმი, ვისაც ეჭვი ეპარება ჩვენს პატრიოტიზმში*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/lasha-talakhadze-shevecdebi-moskovshi-evropis-chempionatze-saqartvelos-himni-avadjghero-es-iqneba-pasukhi-yvela-im-adamianisadmi-visac-echvi-epareba-chven-patriotizmshi%e2%80%8b/>, [22/06/2023]

[21] *ბერძენიშვილისა და ლაშა ტალახაძის ფეისბუკდაპირისპირება - ოლიმპიურ ჩემპიონს გახარიასთან გადაღებული ფოტოს გამო აკრიტიკებენ*, rustavi2.ge, 05/02/2020, <https://rustavi2.ge/ka/news/154498>, [22/06/2023]

5. ცალკეა გამოსაყოფი ყველა ქართველი სპორტსმენის პოსტი სოციალურ ქსელში, რომლითაც ისინი საქართველოს ისტორიულ პოლიტიკურ გეზს ეხმაურებიან და ერთხმად ამბობენ, რომ ქართველობა ევროპელობას ნიშნავს და საქართველოს ადგილი ევროპაშია:

   „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ევროპელი“ - თორნიკე შენგელია

   „საქართველოს მომავალი ევროპაშია“ – ხვიჩა კვარაცხელია

   „საქართველოს მომავალი მხოლოდ ევროპაშია“ - ლევან საგინაშვილი

   „საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი ევროპისკენ სწრაფვაა!“ - ზაზა ფაჩულია

   „საქართველო ევროპაა“ - ზურაბ დათუნაშვილი

   „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“ – ზურაბ ხიზანიშვილი.[22]

დასკვნა

თანამედროვე პოლიტიკის ენისთვის ოპონენტის მტრის ხატის შექმნა უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც აპრობირებულ მეთოდად ითვლება, რის განმავრცობელ ელემენტადაც გვევლინება სპორტსმენი და მისი ხატი, რომელიც საზოგადოების ცნობიერში მხოლოდ დადებით ემოციებს აღძრავს. ზემოაღნიშნული მაგალითებიდან და ნაშრომის შესავალში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკის რეალობა თავისთავად უკავშირდება წარმატებული და მაღალი რეპუტაციის მქონე სპორტსმენის სახელის გამოყენებას, რაც ცალ-ცალკე მიზნობრივ კატეგორიებად იყოფა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელშიც პოლიტიკოსი წარმატებული ქართველი სპორტსმენის სახელს საკუთარი თავის საზოგადოებაში რეალიზაციისთვის იყენებდა. ეს არის უახლესი პოლიტიზებული ენის

[22] *საქართველოს მომავალი ევროპაშია - ცნობილი ქართველი სპორტსმენები რუსული კანონის წინააღმდეგ*, tabula.ge, 08/03/2023, <https://tabula.ge/ge/news/698317-sakartvelos-momavali-evropashia-tsnobili-kartveli>, [22/06/2023]

მაგალითი, როდესაც პოლიტიკოსი, სამოქალაქო აქტივისტი თუ უბრალოდ ჟურნალისტი საკუთარი თავის დადებით კონტექსტში წარმოჩენას სპორტსმენის მიღწევების ფონზე, მის მიღმა ცდილობს. შესაბამისად, პოლიტიზებული ენის სუბიექტი ფარავს საკუთარ უარყოფით თვისებებს, საზოგადოებისთვის მიუღებელ და შეუთავსებელ ნიუანსებს, რის ფონზეც ადამიანთა ყურადღება სპორტსმენის სახელზე გადადის, რაც თავად სპორტსმენსა და მისი რეპუტაციის მომხმარებელს საერთო კონტექსტში, ერთ სრულ მთლიანობად წარმოაჩენს. ამდენად, დასკვნის ერთ ნაწილში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული პოლიტიზებული ენის სუბიექტი სპორტსმენს საკუთარი თავის შენიღბვისთვის, კამუფლაჟის მორგებისთვის იყენებს, რათა პოლიტიკური მიზნების რეალიზაციასა და საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების პროცესს ნაკლები ხიფათი შეექმნას და შესაბამისად, მათი ლეგიტიმურობის შესახებ ადამიანთა ცნობიერში ნაკლები ეჭვები გაჩნდეს.

თავის მხრივ, დასკვნის მეორე ნაწილი იმ პოლიტიზებული ენის სუბიექტებს ეხებათ, რომლებიც სპორტსმენის რეპუტაციას არა საკუთარი თავის საზოგადოებისთვის ემოციურად დაკავშირებასა და მიკუთვნებას, არამედ სასაუბრო თემის მნიშვნელობის გაზრდასა და მისთვის სოციუმისგან ყურადღების მიპყრობას ახმარენ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, პოლიტიზებული ენის სუბიექტი თემის შიგნით სპორტსმენზე საუბრისას ავტომატურად მიმართავს მთელ საზოგადოებას, რომელსაც სპორტსმენი ემოციური თვალსაზრისით თავისთავად ეკუთვნის. შესაბამისად, პოლიტიკოსს, ჟურნალისტსა თუ სამოქალაქო აქტივისტს სპორტსმენის სახელის გამოყენებით თავისუფლად შეუძლია, რომ თემის აქტუალურობის საკითხი ერთიორად მომენტალურად გაზარდოს, ამით კი შესაბამისი შედეგები მიიღოს.

რაც შეეხება ნაშრომის დასკვნის ბოლო ნაწილს, ის თავად სპორტსმენთა უკურეაქციასა და პოლიტიზებული ენისთვის პასუხის გაცემის მნიშვნელობას უკავშირდება. როგორც მაგალითებში ჩანს, იყო შემთხვევები, როდესაც სპორტსმენებმა მიღებულ კრიტიკას პასუხი უკან საჯაროდ გასცეს, რამაც ისინი პოლიტიზებული ენის პროცესში იძულებით ჩართო. ასეთ დროს სპორტსმენი საკუთარი რეპუტაციის როგორც გაფრთხილებას, ისე მის

საზოგადოების ცნობიერში განმტკიცებას ემსახურება. რასაკვირველია, სპორტსმენი საკუთარი სახელის განსადიდებლად ცალკე არასდროს საუბრობს, პირიქით, მისი დამსახურება და სახელი საზოგადოების კეთილგანწყობის გარანტიას სპორტული წარმატებით იღებს, თუმცა პოლიტიზებული ენის ადრესატად ყოფნა სპორტსმენებს თავისთავად პოლიტიზებული ენისვე შემავსებლად, მისი ერთი ნახევრის წარმომადგენლად აქცევს.

ამდენად, თანამედროვე ქართული პოლიტიკის რეალობა ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება სპორტსმენის საზოგადოების ცნობიერში დამკვიდრებული სახელის სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენებას. ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიზებული ენის სუბიექტი სპორტსმენთან ერთად სოციუმს საკუთარი თავის შემადგენელ ნაწილად წარმოაჩენს, მაშინ როცა მეორე ნახევარი სასაუბრო თემისთვის აქტუალურობის გაზრდას ცდილობს, ეს ყოველივე კი სპორტსმენებს პოლიტიზებული ენის მომხმარებლად აქცევს, იმ ენის, რომელიც 21-ე საუკუნის პოლიტიკისთვის უკვე სტანდარტული რეალობის წარმომადგენლად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

მაისაშვილი ხ., ტორაძე მ., მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 35-64

დურბინი დ., დეშამი უ., The Politics of Discourse on the Fields of Dreams: Political Messaging and the Mediated Representation of Sports, 2020, 1-4

ვენერი ლ., Media, Sports, and Society, 2021, 2

ლი ჯ., Sports, Instagram, and conflict talk in English, 2020, 1

ჰილი ჯ., Introduction: Sports and Politics, 2003, 5-6

ჯონ დ., ფრანცისკო ფ., Philosophy of Sport, 2020, 1

ჩეფი დ, *Global social media statistics research summary*, Smart Insights, 2023, 1

სამერსქეილსი რ, *FIFA World Cup Final Beat Super Bowl LVI By More Than One Billion Viewers In TV Ratings*, Fan Nation, 2023, 1

მანაგაძე თ., *ირაკლი კობახიძე - უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სია ისეთი აბსურდულია, შეიძლება, მასში ხვიჩა კვარაცხელია და თორნიკე შენგელიაც ჩაწერონ*, 1tv.ge, 07/09/2022, <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-ukrainis-antikorufciuli-saagentos-mier-gamoqveynebuli-sia-iseti-absurdulia-sheidzleba-masshi-khvicha-kvarackheliac-da-tornike-shengeliac-chaweron/>, [22/06/2023]

ხვიჩა კვარაცხელია - ვფიქრობ, რუსეთში არსებული მდგომარეობა პოლიტიკური საკითხია, expressnews.ge, 15/07/2022, <https://expressnews.ge/index.php?id=148483&lang=en>, [22/06/2023]

„მძიმე ამბავია და გაფრთხილებთ, ეს პოსტი არ მოგეწონებათ“ - გიგა მაქარაშვილი, primetime.ge, 15/07/2022, <https://primetime.ge/news/sporti/mdzime-ambavia-da-gafrtkhilebt-es-posti-ar-mogetsonebat-giga-maqarashvili>, [22/06/2023]

გამსახურდია ს., *სპორტსმენების შეურაცხყოფაპოლიტიკური მიზნებისთვის*, imedi.ge, 20/02/2020, <https://www.imedi.ge/ge/video/49587/sportsmenebis-sheuratskhkopa-politikuri-miznebistvis>, [22/06/2023]

კოპალიანი ე., *ირაკლი სესიაშვილი - ლაშა ტალახაძე კიდევ ბევრჯერ ააფრიალებს საქართველოს დროშას, მსოფლიო მოისმენს საქართველოს ჰიმნს, ჩვენმა ოპონენტებმა კი საბჭოთა კავშირის ჰიმნს უსმინონ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/irakli-sesiashvili-lasha-talakhadze-kidev-bevrjer-aafrialebs-saqartvelos-droshas-msoflio-moismens-saqartvelos-himns-chvenma-oponentebma-ki-sabchota-kavshiris-himns-usminon/>, [22/06/2023]

შალვა ნათელაშვილი - ქართული პროფესიული სპორტის გაგონება არ მინდა, აღარ გვინდა, ბატონო ასეთი კუნთიანი, სულამოცლილი ჩემპიონები, 1tv.ge, 18/02/2020, <https://1tv.ge/news/shalva-natelashvili-sportis-gagoneba-ar-minda-aghar-gvinda-batono-aseti-kuntiani-sulamoclili-chempionebi/>, [22/06/2023]

მამალაშვილი ე., *კახა კალაძე - მორაგბეების ფრჩხილის ფასად არ ღირს არც ერთი ადამიანი, ვინც შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს წარმატებულ სპორტსმენებს*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-moragbeebis-frchkhilis-fasad-ar-ghirs-arc-erti-adamiani-vinc-sheurackhyofas-ayenebs-chvens-warmatebul-sportsmenebs/?fbclid=IwAR26w_jwK7pNDaQPQObiqYXJ1m8u3cV16nSB18bOCLbyBxTqDEPij7mMcl0>, [22/06/2023]

კოპალიანი ე., *მიხეილ ყაველაშვილი - ჩვენი სასიქადულო სპორტსმენები დესტრუქციული და დეგრადირებული ძალისგან უნდა დავიცვათ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/mikheil-yavelashvili-chveni-sasiqadulo-sportsmenebi-destruqciuli-da-degradirebuli-dzalisgan-unda-davicvat/>, [22/06/2023]

ბერძენიშვილისა და ლაშა ტალახაძის ფეისბუკდაპირისპირება - ოლიმპიურ ჩემპიონს გახარიასთან გადაღებული ფოტოს გამო აკრიტიკებენ, rustavi2.ge, 05/02/2020, <https://rustavi2.ge/ka/news/154498>, [22/06/2023]

კოპალიანი ე., *შოთა ხაბარელი - ქვეყანაში, სამწუხაროდ, გვყავს ადამიანები, რომლებიც უღირსად მოიხსენიებენ ჩვენს სპორტსმენებს, ამ ადამიანებზე მაღლა უნდა დავდგეთ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/shota-khabareli-qveyanashi-samwukharod-gvyavs-adamianebi-romlebic-ughirsad-moikhsenieben-chvens-sportsmenebs-am-adamianebze-maghla-unda-davdget/>, [22/06/2023]

ირაკლი ღარიბაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას შეხვდა, imedinews.ge, 14/11/2022, <https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/270648/irakli-garibashvili-khvicha-kvaratskhelias-shekhvda>, [22/06/2023]

არაფრისმაქნისები, ვიღაც ქეციანი უსაქმურები, თითი თითზე რომ არ დაუდიათ საქართველოსთვის, თავი დაანებეთ ამ ბიჭს - ალეკო ელისაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას მხარში ამოუდგა, resonancedaily.com, 16/07/2022, <http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=1&id_artc=161541>, [22/06/2023]

დიმა ობოლაძე ხვიჩა კვარაცხელიას ბულინგზე: „ნაპოლიში“ წავიდა, დიეგო მარადონას გუნდში „კვარადონას“ ეძახიან - თუ შეგიძლიათ, მხარი დაუჭირეთ, თუ არადა ჩუმად იყავით, imedinews.ge, 16/07/2022, <https://imedinews.ge/ge/sporti/257515/dimitri-oboladze-khvicha-kvaratskhelias-bulingze-napolishi-tsavida-diego-maradonas-gundshi-kvaradonas-edzakhian--tu-shegidzliat-mkhari-dauchiret-tu-arada-chumad-ikavit>, [22/06/2023]

ირაკლი ღარიბაშვილმა ლაშა ტალახაძეს მორიგი ოლიმპიური ოქრო და რეკორდი ტელეფონით მიულოცა, 1tv.ge, 04/08/2021,

<https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilma-lasha-talakhadzes-morigi-olimpiuri-oqro-da-rekordi-telefonit-miuloca-video/>, [22/06/2023]

მანაგაძე თ., *ლერი ხაბელოვი - ჩვენი სპორტსმენების დაბულინგება მიმდინარეობს, მოახლოვდა საპარლამენტო არჩევნები და ოპონენტები გააქტიურდნენ*, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/leri-khabelovi-chveni-sportsmenebis-dabulingeba-mimdinareobs-moakhlovda-saparlamento-archevnebi-da-oponentebi-gaaqtiurdnen/>, [22/06/2023]

ხვიჩა კვარაცხელია თავისი არსით არის ჩემპიონი, მოწოდებულია ამისთვის - ირაკლი კობახიძე, tia.ge, 19/04/2023, <https://tia.ge/229886-xvicha-kvaracxelia-tavisi-arsit-aris-chempioni-motsodebulia-amistvis-irakli-kobaxidze.html>, [22/06/2023]

აბაზაძე გ., *ფსევდოლიბერალები კვარაცხელიას წინააღმდეგ*, imedi.ge, 19/04/2023, <https://www.imedi.ge/ge/video/124644/psevdoliberalebi-kvaratskhelias-tsinaagmdeg>, [22/06/2023]

გამსახურდია ს., *სპორტსმენების შეურაცხყოფა პოლიტიკური მიზნებისთვის*, imedi.ge, 20/02/2020, <https://www.imedi.ge/ge/video/49587/sportsmenebis-sheuratskhkopa-politikuri-miznebistvis>, [22/06/2023]

გამსახურდია ს., *სპორტსმენების შეურაცხყოფა პოლიტიკური მიზნებისთვის*, imedi.ge, 20/02/2020, <https://www.imedi.ge/ge/video/49587/sportsmenebis-sheuratskhkopa-politikuri-miznebistvis>, [22/06/2023]

ლაშა ტალახაძე - შევეცდები, მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ჰიმნი ავაჟღერო, ეს იქნება პასუხი ყველა იმ ადამიანისადმი, ვისაც ეჭვი ეპარება ჩვენს პატრიოტიზმში, 1tv.ge, 19/02/2020, <https://1tv.ge/news/lasha-talakhadze-shevecdebi-moskovshi-evropis-chempionatze-saqartvelos-himni-avadjghero-es-iqneba-pasukhi-yvela-im-adamianisadmi-visac-echvi-epareba-chven-patriotizmshi%e2%80%8b/>, [22/06/2023]

ბერძენიშვილისა და ლაშა ტალახაძის ფეისბუკდაპირისპირება - ოლიმპიურ ჩემპიონს გახარიასთან გადაღებული ფოტოს გამო აკრიტიკებენ, rustavi2.ge, 05/02/2020, <https://rustavi2.ge/ka/news/154498>, [22/06/2023]

საქართველოს მომავალი ევროპაშია - ცნობილი ქართველი სპორტსმენები რუსული კანონის წინააღმდეგ, tabula.ge, 08/03/2023, <https://tabula.ge/ge/news/698317-sakartvelos-momavali-evropashia-tsnobili-kartveli>, [22/06/2023]